ხელშეკრულება 20/1

ქ. თბილისი 10.06.2016

ერთი მხრივ, წიგნის მაღაზიათა ქსელი, შპს „ლიბრა“ ს/კ 200135763, (შემდგომში გამყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვენერა ჭელიძის სახით (მის.: ქ. თბილისი, ვ.ფშაველას 30ბ ) და მეორეს მხრივ, სსიპ ქალაქ თელავის №6 საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ჯელთაურის სახით. (მის: ქ. თელავი, ი.ჭავჭავაძის 201) (შემდგომში მყიდველი), ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს მყიდველს წიგნები და მასთან დაკავშირებული საბუთები.
1.2. მყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წიგნების ღირებულება, მე-3 მუხლში აღნიშნული წესით.

## 2. პროდუქცის ღირებულება

2.1 მყიდველი შეიძენს წიგნებს ელფის გამომცემლობის მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები 32ტომად. წიგნების ღირებულება ჯამში შეადგენს 432 ლარს. (ოთხას ოცდათორმეტ ლარს).
2.2 გამყიდველი მყიდველს მიაწვდის ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალ წიგნებს.
2.3 ნივთობრივად უნაკლო წიგნების ქვეშ იგულისხმება წიგნები, რომელიც ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის, ხოლო უფლებრივად უნაკლო წიგნების ქვეშ იგულისხმება, რომ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მყიდველს ნაყიდი წიგნების გამო.

## 3. ანგარიშსწორების წესი

3.1 წიგნების საერთო ღირებულება განისაზღვროს მიწოდებული წიგნების თანმხლები საბუთებით.
3.2. წიგნების ღირებულების გადახდა ხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, არაუგვიანეს მიწოდებიდან 6 თვის (ექვსი თვის) ვადაში.
3.3. გადახდა ხორციელდება მყიდველის მიერ თვეში ერთხელ 72 (სამოცდათორმეტი) ლარის ოდენით. (ანგ/ნომერი: GE07BG0000000114977500)

## 4. წიგნების მიწოდების ადგილი და დრო

4.1 წიგნების მიწოდების დრო განისაზღვროს შეთანხმების საფუძველზე მიწოდება უფასოა.

## 5. საკუთრების უფლების გადასვლა

5.1. საკუთრების უფლება წიგნებზე, მყიდველზე გადადის კანონით დადგენილი წესით.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა

შეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს
ეკრულებიდან მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა
ილსინდისიერი შესრულება.

.2. გამყიდველი იძლევა გარანტიას, რომ წიგნები ნამდვილად მას ეკუთვნის, მოპოვებული აქვს კანონიერი გზით, არ არსებობს არავითარი პრეტენზია ან სარჩელი სასამართლოში ან კერძო არბიტრაჟში წიგნების საკუთრების უფლებაზე, ასევე რომ არ არის დაგირავებული ან სხვადასხვაგვარად დატვირთული.

6.3. გამყიდველი ვალდებულია დაიბრუნოს არარეალიზებული წიგნების 2.2 მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში.

## 7. დამატებითი პირობები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღეს და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე, მაგრამ არაუადრეს მხარეთა მიერ ვალდებულების სრულად შესრულებამდე.
7.2. ყველა ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში ხდება წერილობით, ორივე მხარის ხელმოწერით.
7.3. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდეს მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმეს განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.4. ყოველივე, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, განიხილება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითოეული მხარისთვის.

## 8. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| გამყიდველი | მყიდველი |
| შპს „ლიბრა“ | სსიპ ქ. თელავის №6 საჯარო სკოლა |
| ს/კ 200135763 | ს/კ 231263691 |
| მის.: ქ. თბილისი, ვ.ფშაველას 30ბ | მის.: ქ. თელავი, ი.ჭავჭავაძის 201 |
| საქ.-ს ბანკის ცენტრ. ფილიალი | ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი" |
| ბანკის კოდი BAGAGE22 | ა/ნ GE25LB0121139416339000 |
| ა/ნ GE07BG0000000114977500 | |
| დირექტორი: | დირექტორი: |
| ვენერა ჭელიძე | ქეთევან [illegible] |